572/1989/2

ISSN 0132—5965

1989 წ. დეკემბერი № 12

ოგონიოკი

ხატვარი **ზაურ დეისაძე**

რატომ არის ნაძვი ზამთარშიც მწვანე

შემოდგომაზე ხეებს ფოთლები სცვივათ. გაშიშვლებული ხეები აღარ იზრდებიან, მთელ ზამთარს სძინავთ. რუხი და სევდიანია ტყე, მაგრამ ეს მხოლოდ ფოთლოვანი ხეების ტყე; წიწვოვანები მწვანედ გამოიყურებიან, უფრო ხშირად — მწვანედ და თეთრად. თეთრია თოვლი, რომელიც ნაძვებისა და ფიჭვების ფუმფულა ტოტებზე დიდხანს დევს. თოვლი კიდევ უფრო ამყუდროებს წიწვოვანების ტოტებს. მოფრინდებიან ფრინველები, შეიყუჟებიან იმ ტოტებში ღრმად და იატარებენ ღამეებსაც.

რა ხდება, რატომ არის, რომ შემოდგომაზე ფოთლოვანი ხეები ყვითლდებიან, ფოთლები სცვივათ, ნაძვები და ფიჭვები კი მუდამ მწვანენი დგანან. იქნებ ისინი მთელ ზამთარს ფხიზლობენ? არა, ზამთარში წიწვოვან ხეებსაც სძინავთ, მაგრამ წიწვებს არ იყრევინებენ. საქმე ისაა, რომ ნემსებივით მაგარი წიწვებიც მწვანე ნივთიერებით — ქლოროფილის მარცვლებით არის სავსე, ის კი აქ ისე თავისუფლად ვერ მოძრაობს, როგორც ფოთლებში. ნაძვმა რომ თავისი წიწვების დაყრევინება მოინდომოს, ვერაფრით დაიყრევინებს ზამთრამდე. მერე, გაზაფხულზეც ვერ მოასწრებს ახალი წიწვებით შემოსვას. ამიტომ წიწვების ცვლა თანდათანობით ხდება: ადრეული გაზაფხულიდან იწყება და სულ გრძელდება გვიან შემოდგომამდე. ტანსრულმა ჯანსაღმა ნაძვმა მთლიანად რომ შეიცვალოს თავისი წიწვები, ამას რამდენი ხანი სჭირდება, იცით?.. 9 წელიწადი.

არის ერთი წიწვოვანი ხე, რომელსაც წიწვები შემოდგომაზე სცვივა და გაზაფხულზე ხელახლა ამოსდის. ამ ხეს რბილწიწვიანა, ანუ ლარიქსი ჰქვია, რუსები ლისტვენიცას ეძახიან. მას შედარებით თხლად აქვს წიწვები. სამაგიეროდ მაგარი მერქანი აქვს, ძალიან მაგარი.

ნაძვებსაც დიდი საამაყო აქვთ. ისინი ხომ ახალ წელს ულოცავენ დედამიწის დიდ ნაწილზე ადამიანებს. ადამიანებს ნაძვები ძალიან უყვართ, მათზე შეთხზული აქვთ უამრავი ლექსი და სიმღერა. მორთული ნაძვები გამორჩევით უყვართ ბავშვებს.

სკოლის სკვერი

გიორგი ფეთეკაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

19037

დღეს სკოლის სკვერს ვეწვევით
რიხით, გამოცოცხლებით,
ვაჟებს მოგვაქვს თოხები,
გოგონებს კი — ცოცხები.
განა სკვერის ნერგები
უპატრონოდ გავწირეთ? —
მათ ვაჟები თოხებით
ბალახს ჩამოვაცილებთ,
გარს მიწას ავუფუებთ,
ძირებს გავუფხვიერებთ,
ამით ფესვებს ჩვენ გავხდით
კიდევ უფრო ძლიერებს.
როცა ამ საქმეს
ჩვენ, ვაჟები, მოვრჩებით,
სკვერს დაასუფთავებენ
გოგონები ცოცხებით.
სუფთა სკვერის დანახვა —
ჩვენი გარჯის თავდებად —
თვალსაც გაუხარდება,
გულსაც გაუხარდება!

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. ხაბ. ბიბლიოთ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძვირფასი სიტყვები

ბადრი ჭოხონელიძე



ეს ბიჭი ჩემი მეგობარია. მერე რა ვუყოთ, რომ მე ორმოცს გადავცდი და ბიჭი მესამეკლასელია. ჩვენ მეგობრები ვართ. ხანდახან ისეთ რამეს მოვუყვები ხოლმე, რომ მერე ვფიქრობ, იქნებ ვერ მიხვდა და ვერ გამიგომეთქი. არ დაიჯეროთ, ბიჭი ყველაფერს მშვენივრად ხვდება და, თუ უხასიათობა შემამჩნია, დამამშვიდებს ხოლმე. დაყვავებაც იცის ჩემმა მეგობარმა.

ბიჭს ძალიან უყვარს ქართული ენის მასწავლებელი. განსაკუთრებით უყვარს, როდესაც მასწავლებელი სიტყვებს ჩამოუწერს და დაავალებს, ამ სიტყვებზე წინადადებები შემიდგინეთო. ჩემთან შემოსულისთვისაც შემიმჩნევია, როგორ წვალობს და როგორ ცდილობს აზრიანი, თანაც ლამაზი წინადადებების შედგენას. ბიჭი ტყუილად გაღიმებული არ მინახავს. სხვათა შორის, არც უფროსობს. სულ ვფიქრობ, რა ვთქვა ისეთი, თქვენც რომ მოგაწონოთ ჩემი მეგობარი. მოკლედ, მე იგი ძალიან მიყვარს.

ბიჭს ბევრად უფროსი დეიდაშვილი ჰყავს. იგი ახლა ჯარშია და ჩემი მეგობარი მოუთმენლად ელის მის დაბრუნებას.

— უკვე ორჯერ მივულოცე დაბადების დღე, — მითხრა ერთხელ ბიჭმა, — ერთხელაც — ახალი წელი... აწი მალე ჩამოვა, — მერე რაღაც მოაგონდა და მოიწყინა, — ე, თვითონ კი არ მოულოცია ჩემთვის არაფერი... დედაჩემისათვისაც ხომ შეეძლო სარვამარტოდ ერთი ყვავილებიანი ბარათის გამოგზავნა?!

ამ დროს უფროსები ხშირად სხვის მაგიერ უგზავნიან ბავშვებს წერილებს. აი, ვთქვათ, მე რომ მისი დეიდაშვილის სახელით მიმელოცა დაბადების დღე. მაგრამ ბიჭი არ არის ის კაცი, ვინც უნდა მოატყუო. თუნდაც ტყუილი კეთილი და უწყინარი იყოს.

ერთხელაც შემოვიდა და მითხრა: — დღეს მასწავლებელმა ოთხი სიტყვა ჩაგვაწერინა და ამ სიტყვებზე უნდა შევადგინოთ წინადადებებიო.

აი, რა სიტყვები იყო: «სამშობლო», «მამულიშვილი», «ქართველი» და «ჩვენთან».

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხმარება ხომ არ გინდა-მეთქი, კინაღამ წამომცდა.

— მე დავწერ და წაგიკითხავთო, — ბიჭი მაგიდასთან მოკალათდა და ერთხანს კალმის ბოლო კბილებით აწვალა, მერე ბავშვურად ლამაზი ასოებით შეუდგა წერას.

რა საყვარელი იყო მაშინ, როგორ სერიოზულად წერდა და კმაყოფილს ეღიმებოდა.

და წამიკითხა:

1. ქართველებს სამშობლო ყოველთვის გვიყვარდა, გვიყვარს და გვეყვარება.

2. ქართველებს კარგი მამულიშვილი ყოველთვის გვყავდა, გვყავს და გვეყოლება.

3. ქართველები მტერს ყოველთვის გჯობნიდით, გჯობნივართ და ვაჯობებთ.

4. ჩვენთან არს ღმერთი.

მე, რა თქმა უნდა, მოვუწონე.

მართლა კარგად გამომივიდაო, — თქვა კმაყოფილმა. გადაწყვიტა, ცალკე ფურცელზე გადავწერ და ასე გავუგზავნი ჩემს დეიდაშვილსო.

ამ ამბიდან ორიოდე კვირის მერე მოწყენილი მესტუმრა, — ჩემმა დეიდაშვილმა ... რეკა. მინდოდა მეკითხა, როდის ... ხარ-მეთქი, — ჩაფიქრდა, თითქოს ერცხვინებოდა ამის თქმა და ჩუმად ჩაამთავრა, — იცით, რა მითხრა, შენ რა მაგარი პატრიოტობა დაგიწყიაო?.. თან ეცინებოდა, დამცინოდა.

— როდის დაბრუნდება? — ამის კითხვაღა მოვახერხე.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა, რა ვიცით.

— ეგ არაფერი, — ვცდილობდი დამემშვიდებინა, — ეგ არაფერი.

— როგორ თუ არაფერი?! — ისე შემხედა, მივხვდი, არ ვიყავი მართალი, — არაფერია იმ სიტყვებზე დაცინვა?! — გაიოცა ჩემმა მეგობარმა.

როგორ მინდოდა ხელში ამეტაცებინა და ჩამეკოცნა, მაგრამ ვერ შევბედე. ჩემს წინ მამულის სიყვარულით ანთებული კაცი იდგა.

... ჰოდა, ამიტომ ვართ ჩვენ მეგობრები. ამიტომ არა აქვს მნიშვნელობა იმას, ბიჭი რომ მესამე კლასშია, მე კი ორმოცს გადავცდი.

გუნებამ თავისი საქმე იცის

გიორგი ფერეთელი

მაღალ მთებში ზვავებმა
იცის აბუბუნება, —
ქვემო ქართლში სვანები
ჩამოგვრეკა ბუნებამ.
ბებუამ თქვა: ხანდახან
ჭირიც მარგებელია, —
ქართველი კვლავ ქართული
მიწის გამგებელია.

აკაკი წერეთლის ცხოვრება

გივი გეგეჭკორი

მხატვარი **ედუარდ ამბოკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე კერესელიძის ოჯახი. ქუთაისი და დები ნიკოლაძეები.

აკაკის სხვიტორში გული დიდხანს არ დაუდგება, ჯერ ქუთაისში მოივლის ნაცნობ-მეგობრებს და მერე თბილისისაკენ გასწევს. მეორე დღესვე ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორის ივანე კერესელიძის სანახავად წავა.

ივანე აკაკის შინ შეიწვევს. ოთახში მოხუცებული ქალი დახვდებათ.

— დედი, ეს ის არის, რომ დაწერა: „გულს პერანგი დაჰფართხალებსო“ (ივანე აქ აკაკის ლექსის „ლოდინის“ სტრიქონს ახსენებს), ხომ გახსოვს? ნატრობდი, ნეტავი მაჩვენაო!..

ივანეს აინტერესებს, პეტერბურგის ქართველი სტუდენტები მის ჟურნალზე რას ფიქრობენ, ივანეს მოხუც დედას იმერეთის ამბები უნდა რომ შეიტყოს, ივანეს ცოლს კი აკაკის ლექსებზე საუბარი სურს... აკაკი რომ წასვლას დააპირებს, ივანე თავს გადააქნევს და ეტყვის:

— რაო, ყმაწვილო, ეკალმა ხომ არ გიჩხვლიტა? სად მიდიხარ, რომ მიდიხარ? სასტუმროში? იქ ხომ წყალსაც ვერ იშოვი უყიდლად? ერთი სადილი ერთი თვის ხარჯად დაგიჯდება. სჯობია, ჩვენთან დარჩე, კაი მწვადი, კაი ჩიხირთმა, ყველი, მწვანილი, ზედ კაი ღვინო, კაი პური და კაი გული...

· კერესელიძეს სტუმრები მოუვა. ერთი ლავრენტი არდაზიანია, მწერალი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ ავტორი, ერთი — დიმიტრი ბერიევი და ერთიც — ცნობილი ქართველი პოეტი ალექსანდრე ორბელიანი.

ახალგაზრდა აკაკი მოიხიბლება მათი ქცევით, მათი საუბრით საქართველოს წარსულზე, მომავალზე, ეროვნულ საქმეებზე. აკაკის ყველანი სიყვარულით ექცევიან, თან, როგორც ახალგაზრდას, არიგებენ.

იმავე წელს აკაკი ქუთაისში ბრუნდება. აქ ხშირად არის ნიკო ნიკოლაძის ოჯახში. ორივე რუსეთიდან ახლად დაბრუნებულია და სულ ერთად არიან. აკაკი ნიკო ნიკოლაძეს „ნევის ნაპირებიდან გამოძევებულ ბუნტარს“ (მეამბოხეს) ეძახის, თავს კი — დინჯად სწავლადამთავრებულ კანდიდატს.

აკაკი ნიკოს დასთან, ანიჩკასთან მეგობრობს. ეს მეგობრობა ნახევარ საუკუნეს, აკაკის სიკვდილამდე გასტანს.

დები — ანიჩკა და კატო კერძო პანსიონს გახსნიან. აკაკის ყოველი მისვლა ამ პანსიონში, რომელსაც აკაკი „საქაჯეთს“ დაუძახებს, აქ აღსაზრდელი ბავშვების დიდი სიხარული იქნება, რადგან აკაკი მუდამ ხასიათს გაუსწორებს ბავშვებს და მათთან ერთად გაიხარებს. ანიჩკა, ჩუმი, მოკრძალებული და გულჩათხრობილი ქალია, კატო კი ძლიერი ხასიათისაა, და აკაკი ანიჩკას თუ ნაზ იას შეადარებს, კატოს ჭინჭარს დაუძახებს. ანიჩკასადმი არის მიძღვნილი ცნობილი ქართველი პოეტის გიორგი ჭალადიდელის ლექსები „ფაცხა“ („მიჯვარს ფაცხა მე მეგრული...“) და „მოგონება“ („მახსოვს პირველად სასწავლებელში...“).



ქორწინება. მწერლობის დანიშნულების შესახებ. „გამოცანა“. რაფიელ ერისთავი.

1863 წლის დასაწყისში აკაკი ისევ რუსეთში მიდის, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას აპირებს. მაგრამ მოსკოვში გაიცნობს ნატალია ბაზილევსკაიას, ცოლად შეირთავს და საქართველოში დაბრუნდება.

საქართველოა ამ დროს აკაკის საფიქრალი.

აკაკი ქართველ კაცს მოქმედებისაკენ, მოძრაობისაკენ მოუწოდებს. მისი შეხედულებით, მწერლობა მძინარ ხალხს უნდა აღვიძებდეს, ახალგამოღვიძებულს აფხიზლებდეს; როგორც მოძღვარი მოწაფეს, ავსა და კარგს აგებინებდეს, მის გულის ტკენას არ უნდა ერიდებოდეს და მხოლოდ მის მომავალზე ფიქრობდეს. როგორც მკურნალი სნეულს ისე თავდადებით უნდა უვლიდეს, მხოლოდ მის განკურნებაზე ფიქრობდეს და ავადმყოფს, თუნდაც იგი ძისი მგმობელიც იყოს, ძირმწარასა და ნაღველს პირში ძალდატანებით ასხამდეს. მოძღვრისა და მკურნალის ეს ძალა და ღირსება მწერალს ერთად უნდა ჰქონდეს შეთვისებული.

1867 წელს აკაკი დაწერს „გამოცანას“, რომელშიც თავის მოგვარეს, ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლს ნესტორ წერეთელს გაკილავს. ეს ნესტორ წერეთელი პეტერბურგში მთავრობას განუცხადებს: ქართველი სტუდენტები პეტერბურგში ფუჭდებიან, ღმერთი და ნათესაობა აღარ სწამთ, მთავრობის ორგულები ხდებიანო... აკაკის ლექსში ნათქვამია, ვისზედაც ეს გამოცანა დავწერე, იმ კაცს ტროელი გმირის სახელი ჰქვია, მაგრამ ენა გესლით უყარს და გულში გველი უძევს, ქართველი ახალგაზრდების მტერიაო.

თავადაზნაურობა აკაკიზე გაწყრება, რუსეთიდან რომ დაბრუნდა, გვეგონა ოჯახს ფეხზე დააყენებდა და ჩვენც გვარგებდა, მაგრამ მის ნაცვლად, რომ სამსახურში შესულიყო და წინ ბიჯი წადგა, მესტვირეობას გამოუდგა და ლანძღვით ქვეყანა-გვიდა იკიდაო.

მაგრამ აკაკი ამგვარ „კეთილისმყოფელებს“ ყურს არ უგდებს. მას გულში ამოჭრილი აქვს მშობელი ქვეყნის სამსახური, როგორც მოუხელებელი ციცინათელა, ისე იზიდავს, ეძახის სამშობლოს თავისუფლების ოცნება.

„ჩემო ციცინათელა,
საით ჰფრენ ნელა-ნელა?
მე ვარ შენი ერთგული,
სხვა მოგატუუებს ყველა“.

აკაკი ამ წლებში უახლოვდება რაფიელ ერისთავს, რომელიც ქუთაისში მსახურობს. აკაკი და რაფიელ ერისთავი ლიტერატურულ საღამოებს და თეატრალურ წარმოდგენებს მართავენ. პიესებსაც თვითონ წერენ. რაფიელი მოკარნახეც არის, ხოლო აკაკი სცენაზე გამოდის. წარმოდგენებს ბევრი ხალხი ესწრება, მათ შორის ის ოცდაათი ინგლისელიც, რომლებსაც ფოთიდან თბილისამდე რკინიგზა გაჰყავთ და თუმცა არაფერი არ ესმით, გაუნძრევლად სხედან.

აკაკი განსაკუთრებით შეიყვარებს რაფიელ ერისთავს. რაფიელი ხომ იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ია-ვარდით მოფენილ გზაზე უარს ამბობენ და საზოგადო, უსწორმასწორო, ოღროჩოღრო, შამბნარ-ეკლიან სახიფათო გზას ირჩევენ, ოდესმე უკვდავების წყლის სათავემდე რომ მიიყვანს მათ.

მართლაც, რაფიელი ისეთ ლექსებს დაწერს, რომ საქვეყნოდ სახელს გაითქვამს. მისი „სამშობლო ხევსურისა“ მთელ საქართველოს ეცოდინება. რაფიელ ერისთავი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე აკაკის ეტყვის: გულს ნუ გაიტეხ, ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვედრია და არ გაიწირებაო.

„დროებაში“. „ჩანგური“. „ალექსი“

1866 წელს თბილისში გაზეთი „დროება“ დაარსდება. ოცი წლის მანძილზე ქართველი მწერლები თავის ხალხს ამ გაზეთის ფურცლებზე გაუზიარებენ ფიქრებს. „დროებაში“ დაბეჭდილი თავისი პირველი წერილით აკაკი მიესალმება სამეგრელოს შემოერთებას იმერეთის გუბერნიასთან. 1867 წლის 4 იანვარს. შემდეგ, სამეგრელოს სათავადაზნაურო სკოლის გახსნის დროს, აკაკი სკოლას დალოცავს და იტყვის, ამ ტაძარში, დღეს რომ ვაკურთხეთ, ჩვენმა შვილებმა თავისი თავი უნდა შეიცნონ და მიხვდნენ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები მკვიდრი ძმები ვართ. საერთო ისტორიამ, სარწმუნოებამ და ერთმა დედაქართულმა ენამ უხრწნელი კავშირით საუკუნოდ შეგვაერთაო.

აქ იგივეა ნათქვამი, რაც შემდეგ წერილში „ჩანგური“. საქართველო ჩანგურია და მისი სიმებია ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი და სხვა... ყველას თავისი საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ თავისთავად არც ერთს არა აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდებიან; შეთანხმებით კი გაკეთილხმოვანდებიანო.

1869 წელს აკაკის შეეძინება ვაჟი, ალექსი. აკაკი შვილს მიუძღვნის პოემა-ზღაპარს „ალექსი“. შორს, ცხრა მთის გადაღმა პატარა, ლამაზ გორაზე, ცხვარი დანავარდობს. ერთხელ დედა ცხვარი გალავანს გარეთ გავა და გალავანს შიგნით კრავებს უპატრონოდ დაყრის. იმას კი დაუბარებს, არ იბდავლოთ და კარი არავის გაუღოთ; მე რომ დავბრუნდები, სამჯერ „ბეს“ და „ბეკეკას“ ვიტყვი და გამიღეთო. გალავანს მგელი მოადგება, დედათქვენი ვარ, კარი გამიღეთო. მაგრამ კრავები ეტყვიან: შენ რომ ჩვენი დედა იყო, „ბეს“ და „ბეკეკას“ სამჯერ დაგვიძახებდიო. მგელი რაკი ნიშანს გაიგებს, საღამოს დაბრუნდება და კრავებს „ბეს“ და „ბეკეკას“ სამჯერ დაუძახებს. კრავები მოტყუვდებიან და მგელი ორივე კრავს გადაყლაპავს. მობრუნებული ცხვარი ყველაფერს მიხვდება, მგელს გამოუდგება, ღელეში ნახავს

გამაძღარს, ფაშვში [illegible] ქებს ამოჰკრავს, ცოც[illegible] ებს ამოიყვანს [illegible] ასხამს. ცხოვრობს მშვიდად ცხვარი, სანამ მოყვრად მელა არ გაუჩნდება. მელია ეტყვის: ვიცი, გარშემო სულ მტრები გახვევია, დღეიდან შენი ძმა ვიქნები, მურასაც აქ მოვიყვან და მაშინ ნახე, მგელს რა დღე დავაყენოთო. ზამთარი რომ დადგება, დათვი, მგელი და ტურა მშივრები ცხვრის ციხეს მოადგებიან; ამ დროს მოვარდებიან მელა და მურა და მომხდურს შავ დღეს დააყენებენ. მათი ქცევითა და ტკბილი საუბრით ცხვარი მოტყუვდება და კარს გაუღებს. მელიასა და მურასაც ეს უნდათ, კბილებს აილესავენ, ცხვარსა და კრავს შეუღრენენ და იქაურობას დაეპატრონებიან.

აკაკის ამ ზღაპარში ცხვარში საქართველოა ნაგულისხმევი, მელია კი მეფის რუსეთია, რომელიც ტკბილი სიტყვითა და დაპირებით ცხვარს სამყოფელში შეუვა და მის სამკვიდროს დაეუფლება.

აკაკის შვილი, ალექსი, რომელსაც მამამ ეს ზღაპარი მიუძღვნა, წამოიზრდება, წიგნის კითხვასაც ისწავლის, მაგრამ ამ პოემას, ისევე, როგორც მამამისის სხვა ნაწარმოებებს, ვერასოდეს წაიკითხავს იმ მიზეზის გამო, რომ ქართული კითხვა არ ეცოდინება — ალექსი უფრო ხშირად რუსეთშია, საქართველოში მხოლოდ სტუმრად ჩამოდის და რუს ინტელიგენტად იზრდება.

ეს ამბავი აკაკის მთელი სიცოცხლე გულს უკლავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამი ბეღურა

ემზარ კვიტაიშვილი

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

ტირიფზე სამი ბეღურა
ზის, მათგან ერთი — დედო.
ჟივიან, ცივი ზამთარი
მოდის, რით დავუხვდეთო.
დედა ამშვიდებს: ნუ შიშობთ,
ქარი რომ დაქრის მძაფრად,
შვილებო, სახლის კედელში
ვხედავ საჩვენო ნაჭრალს.
შიგ ჩავაფინოთ ბუმბული,
დავგმანოთ ყველა ბზარი,
სანამდეც უნდა იქროლოს,
ვეღარას გვაგნებს ქარი.
ვერ ამოძვრება ვერაგი,
ჩვენი მოსისხლე კატა,
ისევ დავტოვებთ ხახამშრალს,



თუმცა დიდი აქვს მადა.
საწვიმარს წყალი მოჰყვება,
მოგვიმარაგებთ საკვებს;
არ დაგვჭირდება შორს წასვლა,
ჰურის თონეა აქვე.
გამხიარულდნენ შვილები:
შენი ჭირიმე, დედი...
ვერ ვიგრძნობთ შიმშილს,
სიცივეს,
სხვა რაღა გვინდა მეტი.
მათმა ჟღრუტულმა ზამთარი
მეც თვალწინ დამიყენა;
ნურავინ იტყვით, გეთაყვა,
ჩიტებს არ აქვთო ენა.
იწყწებოდა ღრუბელი,
ტოტებს არხევდა ქარი...
სულ სიტყვასიტყვით ჩავწერე
მე მათი ნაუბარი.

ზღარბი — ზურაბის ზღაპარი

დავით ჯავახიშვილი

მხატვარი **ვაჟა ჟურბული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც გულბოროტ მგელს, სახელად გელას, დასდგომია სხვებზე უკეთესი დღე. მაშ, ზურაბის გადამკიდეს, აბა რა ეგონა?!

გელას მოულოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად ზურაბი მუდამ განსაკუთრებული სიფრთხილითა და გულმოდგინეობით ემზადებოდა. აი, ახლაც, თითქოსდა გულმა უგრძნო, რომ სულ მალე, სადღაც, უეჭველად, ბოროტ გელას უნდა გადაყროდა, უგრძნო და... არც შემცდარა. ადიდებულ მდინარეზე წყურვილის მოსაკლავად ჩასულ ზურაბს უეცრად გელამ წყლისკენ მიმავალი გზა გადაუღობა. მგლის წითელი ენისა და თეთრად დაკრეჭილი კბილების დანახვაზე ზურაბს შიშისაგან გული კინაღამ შეუღონდა, მაგრამ მაინც არ დაბნეულა. ჯერ გული გაიმაგრა, მერე თავი გაიმხნევა, ბოლოს კი ისევ და ისევ ნათელი გონება მოიკრიბა და გაიხსენა, რომ ამ შეხვედრას კარგა ხანია მოელოდა და რომ საამისოდ თადარიგიც უკვე კარგა ხნის დაჭერილი ჰქონდა. მდინარეზე, სწორედ ამ ადგილას, ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე, ხიდის მაგიერ, წავებს ერთი დიდი ხე გაედოთ და დიდი თუ პატარა, გაღმა გასასვლელად თუ გამოღმა გამოსასვლელად მუდამ ამ ხით სარგებლობდა. ზურაბის მეგობარი, ლამაზბეწვიანი წავი, სახელად წაქა, თავისი მრავალწევრიანი ოჯახით აქვე ახლოს, მდინარის ერთ-ერთ წყნარ შენაკადში სახლობდა. პატარა წავებს თავიანთი ბასრი კბილებით ოღონდ კი ხეები ეღრღნათ და, უკეთესი გასართობი ქვეყნად არ ეგულებოდათ. ჰოდა, წინდახედულმა ზურაბმაც ამით ისარგებლა და სთხოვა მათ, ეს წყალზე გადებული ხე სანახევროდ გადაეღრღნათ, მერე კი, როგორც იდო, ისევ ისე დაეტოვებინათ. წავებმაც ბევრი არ ახვეწინეს, სიამოვნებით შეუსრულეს ზურაბს ეს თხოვნა და იმდენი ღრღნეს ხე, იმდენი ღრღნეს, რომ სანახევროდ კი არა და, ცოტა არ იყოს, მეტიც მოუვიდათ. იდო ახლა ეს ხე წყალზე ძველებურად, ვითომც აქ არაფერიაო, სინამდვილეში კი წკიპზე იყო და თითის ერთი დაკარებაც იკმარებდა მის ჩასატეხად. გაიხსენა ეს ყველაფერი განსაცდელში ჩავარდნილმა ზურაბმა, გადაიქცა ვარდისფერ ბურთად, დაგორდა, გაუძვრა ფეხებშუა გაოცებულ გელას და წყალზე გადებული ხით ერთ წამში გაღმა ნაპირზე გადაგორდა. სამშვიდობოს გასული კბილავ ზღარბად იქცა, თავი მხრებიდან ამოყო და მხრებიც გაშალა, მერე გახედა უკან გზას და ხედავს: მორბის, მოძუნძულებს კბილებდალესილი და გაცეცხლებული გელა, ეს ბურთი ფეხებშუა როგორ გამიძვრაო, ვერ მოუნელებია, და თვალებიდან სულ რისხვის ნაპერწკლები სცვივა, მორბის და არ იცის, რა მოელის; ზურაბმა კი იცის და წინასწარ ეცინება... და მართლაც, ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც ზურაბი მოელოდა: ჩაუტყდა, რა თქმა უნდა, გელას ფეხებქვეშ წავების გადაღრღნილი ხე და გულბოროტმა მგელმა ადიდებული მდინარის ტალღებში ტყაპანი მოადინა. ასე გაატანა ზურაბმა მდინარის ტალღებს გელა და მას შემდეგ იმ ტყეში მგლის სახსენებელიც კი აღარ დარჩენილა.

ერთხელაც თურმე, სოკოს საგროვებლად მიმავალ ზურაბს გზად თვით დათვი-დავითი შემოეფეთა. საერთოდ, დათვს ზღარბის ხორცი არ უყვარდა და არც არასდროს გაესინჯა, მაგრამ მაინცდამაინც იმ დღეს სხვა ვერაფერი ეშოვნა, შიმშილისაგან კუჭი ეწვოდა და, აღარ დაეძებდა, ზღარბი იქნებოდა თუ სხვა რამ სულიერი, ოღონდ კი, თუნდ ეკლებიანა, რამე დაე-

დასაწყისი „დილის“ მე-11 ნომერში

ღეჭა. უეკლო ზურაბის დანახვაზე ხომ სულ გადაირია და ჭამის საღერღელი კიდევ უფრო აეშალა, პირზე დუჟიც კი მოადგა და ენით მოილოკა. ახლა კი ისე ცუდადაა ჩემი საქმე, როგორც არასდროსო, გაუელვა თავში ზურაბს და, მგონია, მართლაც ასე იყო, რადგანაც წინასწარ მოფიქრებულ-მომზადებული მას ამჯერად არაფერი ჰქონდა. ეს როგორ მოუვიდა, თვითონაც არ იცოდა. ეტყობა, დაბერდა, დაიღალა ამდენი ძრწოლვით ყოველდღიურ საშიშროებათა წინაშე, დაიღალა ამდენი იძულებითი ეშმაკობითა და თავდაცვითი ფანდების გამოგონებით, სულ ერთადერთხელ მოდუნდა, დაკარგა სიფრთხილე და, აჰა, საბედისწერო საფრთხემაც გამოჩენა არ დააყოვნა: ორ ტოტზე შემდგარი მშიერი დათვი მთასავით დასდგომოდა თავს და დღისით-მზისით, შეჭმას უპირებდა. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ნათქვამია, მაგრამ გაქცევა უკვე გვიანდა იყო, ვეღარ უშველიდა. უცებ ზურაბს ნათელი გონება კიდევ უფრო გაუნათდა, სიხარულისაგან ლამის ტაშიც კი შემოჰკრა. მოიფიქრა! მაინც მოიფიქრა! გადარჩენის ერთადერთი იმედიღა არსებობდა და მაინც მიაგნო, მაინც იპოვა! გაახსენდა, რომ ამ სამიოდე დღის წინათ ხის ფუღუროში კრაზანების ბუდეს წააწყდა და ძლივს გადაურჩა. აი, სად იმალებოდა ხსნის ერთადერთი იმედი და გზა. ცდა ბედის მონახვისა ესეც ხალხის ნათქვამია და, ზურაბმაც აიღო და სცადა: დრუნჩზე ცბიერი ღიმილი მოიფინა, ხმა დაიშაქრა და დათვ-დავითს ეუბნება:

— მე ხომ შენ ერთ ლუკმადაც არ გეყოფი!? შემჭამ და მალე ისევ მოგშივდება...

„მართალს ამბობს“, გაიფიქრა დათვმა და მოიწყინა, გული დაუნაღვლიანდა.

— მოდი, იცი, რა ვქნათ!? ჯერ ნუ შემჭამ!— შესთავაზა ზურაბმა, — აგერ ახლოს, ფუღუროში, თაფლი მეგულება, მიგიყვან და მერე როგორც გინდა, თუ შემჭამ, ტკბილ თაფლს დააყოლებ, ცუდია განა?!

თაფლის გაგონებაზე დათვს კინაღამ გული წაუვიდა, ულაპარაკოდ დათანხმდა და ვარდისფერ ბურთად ქცეულ ზურაბს ძუნძულით აედევნა. მიგორავს ზურაბი და მიძუნძულებს დათვი. მალე, მართლაც, ფუღუროც გამოჩნდა.

— აიღე რამე ჯოხი, ჩაყავი ფუღუროში და დარწმუნდები, რომ ფუღურო სავსეა თაფლით, — კვლავ ცბიერი ღიმილით ეუბნება ზურაბი დავითს.

დაუჯერა გულუბრყვილო დათვმა, ჩამოტეხა ხეს ერთი ზორბა ტოტი, ჩაყო კოვზივით ფუღუროში და მოურია. ფუღუროდან საშინელი, გამაფრთხილებელი ზუზუნი მოისმა, მაგრამ მსუნაგი დავითი მაინც ვერაფერს მიხვდა. ახლა კი დროა, თავს ვუშველოო, გაიფიქრა ზურაბმა და თვალისდახამხამებაში გაეცალა იქაურობას. გამოცვივდნენ ფუღუროდან გაღიზიანებული კრაზანები, დაესივნენ დავითს ყოველი მხრიდან და ისე დაასიეს, სარკეში რომ ჩაეხედა, თავის თავს ვერ იცნობდა, ისიც ზურაბივით ბურთს დაემსგავსა, ოღონდ დიდს და ფაფუკს; ღრიალით დაგორდა დაღმართში და მდინარის მორევში ბელტივით ჩაებერტყა. დღესაც იმ წყალში ხის თურმე და ნაპირზე გამოსვლა ვერ გაუბედავს. რამდენ ხანს აპირებს ნეტავ ასე წყალში ჯდომას, საინტერესოა!

ასე და ამგვარად, ხღარბი-ზურაბის თავგადასავალი დროთა განმავლობაში ტყის ლეგენდად იქცა. ძილის წინ უყვებიან ტყის მკვიდრნი თავიანთ შვილებს ამ ლეგენდას და ბოლოს უეჭველად ამ შეგონებას დააყოლებენ ხოლმე: ვისაც ჭკუა და გონება უჭრის, ის ძლიერ მტერთან უაბჯროდ და უიარაღოდ მოიგებს ბრძოლასო.

კიდევ ერთი დარიგება

მხატვარი ზაურ [illegible]

ბიბლიოთეკა

ტარიელ ჭანტურია

სვამ ლიმონათს,
იჭყიპები,
გაიძახი
„იფ-იფ-იფსა!“
ღამით კიდევ —
გაგამხილო?
ღამით კიდევ...
თურმე ... იფ...

უზომო და
უსაშველო
არაფერი
რომ არ ვარგა,
ეს გახსოვდეს
უნდა მუდამ,
ეს იცოდე
უნდა კარგად!

ლექსო — კალათბურთელი

თამაზ ებანოიძე

გამინაწყენდა ლექსო —
მე რად არ მიწერ ლექსსო!
კალათბურთელი რომ ვარ,
საქებრად არ ღირს ესო?

აგერ უკანა ეზო —
ვნახოთ, რას იზამს ლექსო.

ბურთისთვის ცხარე ბრძოლა,
ფინტი, გარღვევა, ფარი,
ნახტომი, მარჯვე სროლა,
და ორი ქულაც არის!

მფრინავი მახვილი კუთხე

როსტომ ელანიძე

დედამიწაზე წეროების მრავალი სახეობაა ცნობილი. ყველაზე მეტად გავრცელებულია ნაცრისფერი წერო. როცა ჩრდილოეთში აცივდება, წეროები სამხრეთისაკენ მიფრინავენ. იქ ისინი ბინადრობენ აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში, ინდოეთის ჩრდილოეთში, ირანში, სამხრეთ დასავლეთ ჩინეთში, მცირე რაოდენობით — ამიერკავკასიაში.

როცა ჩრდილოეთში გაზაფხული იწყება, წეროები სამშობლოში ბრუნდებიან და იბუდებენ ტუნდრაში, ტაიგის ნაპირებთან. მოგზაურობისას წეროებს ფრენა უხდებათ დიდ სიმაღლეზე, შორიდან შორს... საქართველო მათი გადაფრენის შუა გზაზეა, აქ ისინი წელიწადში ორჯერ გაივლიან ხოლმე თავიანთი „ჰიმნით" — თავისებური მგზავრული ხმებით. ეს ხმები განსაკუთრებით ახარებთ ბავშვებს. ისინი ჟრიამულით გარბიან და გაიძახიან: „წეროები! წეროები! მიფრინავენ წეროები!.."

გადაფრენისას წეროები მახვილ კუთხეს ქმნიან — ერთი წერო წინ არის, შემდეგ კი — სათითაოდ დამწკრივებულები — ერთი აქეთ, მეორე — იქით. ეს ტოლფერდიანი მახვილი კუთხე საშუალებას აძლევს წეროებს დიდ სიმაღლეზე გადაფრენის დროს ადვილად გაჰკვეთონ ჰაერის მძლავრი წინააღმდეგობა, იფრინონ ხანგრძლივად და შედარებით ნაკლები ენერგიის დახარჯვით.

მფრინავ მახვილ კუთხეს წეროები შემდეგნაირად აგებენ: როცა ერთი საბინადრო ადგილის ოჯახები სამგზავროდ ცაში აიშლებიან, — აბოუირდებიან, წინა ადგილებს უფროსი ასაკის მოწინავე წეროები იკავებენ. მათ გამძლეობაც მეტი აქვთ და გამოცდილებაც — კარგად იციან საფრენი გზები; ამათ უკან მიჰყვებიან შემცვლელი წეროები. როცა წინამძღოლი დაიქანცება, მის ადგილს სხვა იკავებს. მერე ამ შემცვლელსაც სხვა ცვლის და ასე ცვლიან ერთიმეორეს, სანამ თავიანთ საბინადროს არ მიაღწევენ.

ნაცარა წეროების გადამფრენ გუნდში 80-100 წეროა; თუ მეტნი მოგროვდნენ, იყოფიან, ორ ან სამ მფრინავ კუთხეს ქმნიან და ერთიმეორეს მიჰყვებიან...

გადასაფრენ გზებზე წეროებს ამოჩემებული

მხატვარი **გიორგი როინიშვილი**

აქვთ დასახლებული ადგილებისაგან საკმაოდ დაშორებული დასასვენებელი უბნები. ისინი მაშინ ჩერდებიან და ისვენებენ, როცა ძლიერ იქანცებიან ან როცა ამინდია ცუდი; თორემ ისე დღისითაც მიფრინავენ და ღამითაც. საბინადრო ადგილებს რომ მიაღწევენ, ერთხანს გუნდებად ცხოვრობენ, შემდეგ კი დაწყვილებას იწყებენ. ამ დროს იციან ერთგვარი თავისებური მოძრაობა, თითქოს ცეკვავენო. იბუდებენ მდინარეების, ტბების ნაპირებთან, ჭაობიანი ადგილების მშრალ უბნებში, ბუდეს აშენებენ მარტივად, ამოღრმავებულ მიწაში, ან ხის ტოტებს შორის. შიგ აფენენ მშრალ ბალახს, ლელს, ლერწამს, დებენ ორ ან იშვიათად სამ, მუქი მოწითალო ფერის, მოყვითალო ლაქებიან კვერცხს. კვერცხი 10 სმ სიგრძისაა და 200 გრამს იწონის. როცა მდედრი კვერცხებზე ზის, მამრი თავგამოდებით იცავს მას, დროდადრო კი თვითონ ჯდება კვერცხებზე და მაშინ მდედრი იცავს ბუდეს.

ახლადგამოჩეკილი ბარტყები ყვალი-ყანგისფერი ბუმბულით არიან დაფარულნი, გამოტეხვისთანავე, შეშრებიან თუ არა, ფეხზე დგებიან და შეუძლიათ ბუდიდან გადასვლა — დედას მაშინვე მიჰყავს ისინი უშიშარ, ბალახიან ადგილებში, სადაც მთელ დღეს ატარებენ და საღამოს ბრუნდებიან სადგომში.

წერო ხარბი მჭამელია, იკვებება მცენარეულობით, მათი თესლებით, ნაყოფებით, ფესვებით, მრავალგვარი მწერებით, ქვეწარმავლებით, მცირე ზომის ფრინველებით. განსაკუთრებით უყვარს ბაყაყები. წეროები ფრთხილი ფრინველები არიან. როცა მათი გუნდი იკვებება, ერთი ან ორი ყარაულობს გუნდს და მოსალოდნელ საფრთხეს თავისებური ხმით აცნობებს.

ვენახში

გივი ჭიჭინაძე

მოფრინდა ჩიტი
ლეღვის საჭმელად,
მიტრიალდა და
გაფრინდა ხელად.
მოვიდა მელა
ეურძნის საჭმელად,
ფხუკო! — შეკრთა და
გავარდა ველად.
მერე კურდღელი
გაჩნდა ეურცქვიტა,
ისიც გაიქცა
ფაცხა-ფუცხითა...
— ეს რა ხდებაო! —
თქვა ჭიანჭველამ,
რომელიც ხიდან
ზვერავდა ყველას
ბალახის გრძელი ღეროს
ჭოგრიტით...
ბოლოს შესძახა:
— ოო, მივხვდი, მივხვდი! —
თურმე იმ დიდი
ვენახის თავში
თმაუვარცხნელა,
ჰირუბანელა,
იდგა თქვენხელა
ზარმაცი ბავშვი.

მხატვარი **ვაჟა ქურხული**



მათეს ეზო

ღამე და დღე

ერლომ ახვლედიანი

ერთ დილას მათემ თავის ეზოში პატარა ღამე აღმოაჩინა...

მათეს ჯერ ეგონა, რომ წუხანდელ ღამეს თავისი შვილი დარჩა, და ძალიან შეწუხდა. მართლაც წარმოუდგენელია, დღისით ნახო წუხანდელი ღამე და შვილი დაუბრუნო. მითუმეტეს, ამ პატარა ღამეს მხოლოდ ერთი ვარსკვლავი ჰქონდა და მასაც ღრმად მალავდა თავის ლურჯ ბურუსში. ეს ვარსკვლავიც ნიავმა აღმოაჩინა შემთხვევით, როცა ოდნავ დაჰბერა.

ყველას გაუხარდა ამ უჩვეულო არსების სტუმრობა. თამაშიც კი მოიგონეს — ბუმბულივით სულს უბერავდნენ და ისიც სულ ჰაერში იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაღამოვდა და მათეს შეეშინდა, ვაითუ ღამეში ეს პატარა ღამე დამეკარგოსო, პეშვით აიყვანა, შინ შეიყვანა, ქოთანში ჩასვა და თავი მაგრად მოუკრა.

მეორე დღეს, როდესაც ქოთანს ხუფი ახადა, იქიდან ამოვიდა ღამე, კიდევ უფრო გაზრდილი და დამშვენებული. ახლა მასში უკვე სამი ვარსკვლავი ციმციმებდა.

მათე დარწმუნდა, რომ მისი პატარა ღამე დიდ ღამეშიც აღარ დაიკარგებოდა და ღამღამობითაც გარეთ ტოვებდა.

იმხანად იყო, დამალობანას თამაში რომ ისწავლეს ეზოს მობინადრეებმა. ხან წიწილა იმალებოდა ღამეში, და ჭუკი ეძებდა, ხან ჭუკი იმალებოდა, და წიწილა ეძებდა. ხან კი ორივეს იფარავდა სამვარსკვლავიანი ღამე.

გადიოდა დრო და მათეს ღამე იზრდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს ძაღლმა მასში პატარა ნახევარმთვარეც კი აღმოაჩინა და

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ყეფა დაუწყო. მთვარეს შეეშინდა. სად იყო და სად არა, გაჩნდა მათეს ეზოს ღრუბელი და მნათობს აეფარა.

კვირადღეს კი ციცინათელებმა ნამდვილი ზეიმი გამართეს. შეფრინდნენ პატარა ღამეში, სხივები გარშემო შემოისხეს და ცეკვა-თამაშითა და ლექსებით აიკლეს იქაურობა.

ბოლოს ისე გაიზარდა პატარა ღამე, რომ მთელი ეზო დაიკავა: უცნაური სანახავი იყო ამ დროს მათეს ეზო გარედან: ირგვლივ დღეა ნათელი, ხოლო მათეს ეზოში ღამეა ვარსკვლავებით მოჭედილი.

ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს — მათეს ეზოში ღამე იყო.

მაგრამ ერთხელ მათემ თავის ეზოში პატარა დილა ნახა. დილა ისეთი პატარა იყო, რომ მხოლოდ ერთი ყვავილი ჰქონდა.

მათეს ღამეში იზრდებოდა მათეს დილა და თანდათან ჩნდებოდნენ ეზოს ბინადარნიც. ჯერ თავებს გამოჰყოფდნენ ღამიდან, შემდეგ ტანიც გამოუჩ[illegible]დათ, ხოლო ბოლოს კუდებიც [illegible]დებოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე მათეს დილა პატარა დღედ გადაიქცა. ახლა კიდევ უფრო უჩვეულო სანახავი იყო მათეს ეზო გარედან: დღეა ნათელი, დიდი დღე, მათეს ეზოში კი ღამეა ვარსკვლავ-მთვარიანი, ხოლო ამ ღამეში კვლავ პაწაწინა დღეა.

და მალე ყველა შეეჩვია დღე-ღამის მათესეულ შენაცვლებას. დღე და ღამე გარედან კი არ თენდებოდა, არამედ შიგნიდან.

მათეს ეზოში იბადებოდა ღამე, გაიზრდებოდა, ვარსკვლავებით აჭახჭახდებოდა, მთვარით დამშვენდებოდა, ციცინათელებით აივსებოდა, ხოლო შემდეგ მასში ჩაისახებოდა ერთყვავილიანი დილა, რომელიც ნელ-ნელა გაცისკროვნდებოდა, აზურმუხტდებოდა, ათასფრად აელვარდებოდა, გამაღლდებოდა და თავის თავში კვლავ შობდა პატარა ღამეს...

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

ზამთარი

ბიძინა მინდაძე

თოვს და აღარ გადაიღო,
თოვს და ფხიზლობს ზვავი.
თოვს, რომ უფრო თეთრი იყოს
თეთრი დათვის ტყავი.
თოვს და აღარ გადაიღო
არ გადიღო თოვამ.
შავო ბიჭო, თეთრო ბიჭო,
გაზაფხული მოვა.
ჯერ კი თოვს თვით ბათუმამდე,
თოვს და ფხიზლობს ზვავი,
თოვს, რომ უფრო თეთრი გახდეს
თეთრი დათვის ტყავი.

კარტოფილი

19.037

რომელ ბავშვს არ უყვარს ტაფაზე შემწვარი კარტოფილი? ღადარში ან ფურნაკში შემწვარი ქერქიანად? ვისთვის არ წაუძლევია სულს, ვის არ უბერია ცხელი კარტოფილისა და თავისი თითებისათვის?

და წარმოიდგინეთ ახლა: ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მკვიდრნი კარტოფილს მი-ირთმევდნენ 14 ათასი წლის წინათაც, ჩვენთან კი კარგა დაგვიანებულ სტუმრად ითვლება იგი.

ევროპაში კარტოფილი მე-16 საუკუნეში დაიგემოვნეს პირველად, რუსეთში — მე-17 საუკუნის ბოლოს. რუსები თავიანთ დიდ მეფეს— პეტრე პირველს ემადლიერებიან ამისათვის. პეტრე პირველმა, ჯერ კიდევ ჰოლანდიის გემთმშენებლობაში მომუშავემ უბრალო მუშად, ერთი ტომარა კარტოფილი გამოუგზავნა სამშობლოში ნათესავებს. ჩვენთან, საქართველოში, კიდევ უფრო გვიან ჩნდება კარტოფილის ნათესები. ეს იყო სულ რადაც 150 წლის წინათ. ამჟამად კარტოფილი დედამიწის ყველა კონტინენტზე მოჰყავთ.

გლეხობას, ვისი ხელითაც ჭირნახული მოდის, ასე აქვს ნათქვამი: რაკი კარტოფილი მოვიდა, პურის მოუსავლიანობა ისე საშიში აღარ არის ქვეყნისათვისო. მართლაც — თუ პურის კარგი მოსავალი 60 ცენტნერს აღწევს ჰექტარზე ჩვენში, კარტოფილი 300 ცენტნერამდე მოდის. კარტოფილი მშვენიერი საკვებია ცხოველებისთვისაც. კარტოფილისაგან აკეთებენ აგრეთვე სპირტებს, სახამებელს, გლუკოზას და სხვა.

ჰო, მართლა: ალბათ თქვენც შეგიმჩნევიათ — ზოგი კარტოფილი თეთრია, ზოგი ყვითალო, ზოგი მოწითალო, ზოგი მონაცრისფერო. ზოგი გორგლი (ბოლქვი) მოგრძოა, ზოგი მრგვალი, ზოგი ოკრობოკრო. ზოგს თხელი ქერქი აქვს, ზოგს სქელი. კარტოფილის 200-მდე სახეობა არსებობს ქვეყანაზე, ველური და კულტურული. საბჭოთა კავშირი 100 სახეობას თესავს.

თესვას რომ ვამბობთ, ეს მთლად ზუსტი არ არის, უფრო ირგვება კარტოფილი. ადრეგაზაფხულზე ნაბარში აკეთებენ დაახლოებით 10 სანტიმეტრის სიღრმე ორმოებს, თითო ორმოში ჩადებენ 3 — 4 კარტოფილს (შედარებით წვრილს) და წააყრიან მიწას. ახლამოსულ კარტოფილს თოხნიან, ყვავილობის დაწყებამდე უბულულებენ, მიწას შემოუყრიან.

საადრეო ჯიშს ამოსვლიდან 40 დღის შემდეგ შეუძლია დაამშვენოს სუფრა, ცოტა უფრო საგვიანოს — 60 დღის შემდეგ, ამაზე უფრო საგვიანოს — 90 დღის, ანუ 3 თვის შემდეგ.

კარტოფილი მეორე მოსავლადაც კი მოჰყავთ. ადრეულ პურეულს რომ აიღებენ, სწრაფად ხნავენ და კარტოფილს თესავენ. ჩვენში

მხატვარი **გიორგი როინიშვილი**

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. [illegible]
ბიბლ. [illegible]

ძალიან კარგად ხარობს კარტოფილი ახალქალაქის, ახალციხის, წალკის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, ხულოს და შუახევის რაიონებში. კარგი კარტოფილი მოდის მთებშიც, ზღვის დონიდან თითქმის 2300 მეტრის სიმაღლემდე. საქართველოში გავრცელებელი ჯიშებია: მაჟესტიკი, თრიალეთური სახალხო, ლორხი, ეპიკური და სხვა.

გვალვიან ამინდში კარტოფილს ძალიან უხდება მორწყვა.

ბოლო ხანებში ყველგან გავრცელდა კარტოფილისჭამია კოლორადოს ხოჭო. ეს ხოჭოც ამერიკელია წარმომავლობით. ჭიამაიას ჰგავს, ცოტა მასზე დიდია. კუნწულებად დაეკიდებიან ხოლმე ხოჭოები კარტოფილის ფოთლებს, ცოტა ხანში მთლად გადაძოვენ მწვანეს.

დიდ ნაკვეთებში შეწამვლით ებრძვიან კოლორადოს ხოჭოებს. პატარა ნაკვეთებში და ეზოებში კი ხელითაც აგროვებენ, ბოთლებში ყრიან და მერე გარეთ სპობენ.

ამ საქმეში დიდებს სჯობნიან კიდეც პატარები.

ნაწერი და ხასიათი

დიდი ფრანგი მწერალი ონორე დე ბალზაკი ყოველთვის ამაყობდა, ხელნაწერის მიხედვით ადამიანის ხასიათის, ნიჭისა და უნარის გაგება შემიძლიაო.

ერთხელ მას ნაცნობმა ქალმა ძალიან ცუდი ხელით ნაწერი ბარათი უჩვენა და უთხრა:

— ეს თორმეტი წლის ბიჭის ნაწერია. გთხოვთ, გადაათვალიეროთ და მითხრათ, რა ხასიათისაა იგი, როგორი იქნება მისი მომავალი.

— ჯერ ის მიბრძანეთ, — უთხრა ბალზაკმა, — თქვენ ამ ბავშვის დედა ხომ არა ხართ?

— არა, — მიუგო ქალმა.

— კეთილი, — დაიწყო მწერალმა, — მაშინ გულახდილად გეტყვით, რომ ეს ბავშვი, სამწუხაროდ, ძალიან ზარმაცი და ჯიუტია. იგი ცხოვრებაში ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწევს.

ქალმა გულიანად გადაიხარხარა.

— რა გაცინებთ? — გაკვირვებით ჰკითხა ბალზაკმა.

— ეს წერილი თქვენ მომწერეთ ბავშვობაში, ბატონო ონორე.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე



სამედიცინო კროსვორდი
რა ჰქვია?

შეადგინა **გივი ალაზნისპირელმა**

1. ავადმყოფს, რომელიც ექიმთან მკურნალობს?
2. სამედიცინო მუშაკს, რომელიც ექიმს ეხმარება?
3. ავადმყოფთა დასაწვენ სამკურნალო დაწესებულებას?
4. ექიმს, რომელიც ოპერაციის მეშვეობით კურნავს ავადმყოფს?
5. ექიმის მიერ გამოწერილ სამკურნალო საშუალებას?
6. ტემპერატურის საზომ ხელსაწყოს?
7. თხევად წამალს, რომელშიც სხვადასხვა სამკურნალო საშუალებები შედის?
8. ბავშვებში გავრცელებულ სახადს?

თუ ყველაფერს სწორად გამოიცნობთ, ვერტიკალურ სვეტში წაიკითხავთ, რა ჰქვია... ბავშვების მკურნალ ექიმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაგუა, სესილ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, თენგიზ ჩალაური (პ/მგ.მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჭიჭინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 20.09.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.11.89 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა № 2162.

ყდაზე ნახატი
გია ლაფაურისა

«Дила» («Утро») — Ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор РЕВАЗ ИНАНИШВИЛИ (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 2162.

6288/4

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ პეტრიაშვილი

ხმალი ჰკიდია ზაქროსა,
თოფი ჰკიდია შაქროსა,
ვინც იმათ შემოეერება,
ხმა უნდა დაიშაქროსა.

ფანჯრებიან-ფარდიანი,
გარეთ ბაღი ვარდიანი,
ფარდა გასწი, ვარდი ნახე,
ნუ იქნები დარდიანი!

ბნელაში სხედან ბუები,
არც ბრმები, არცა ურუები,
იციან ქვეყნის ამბები
ნამდვილები და ცრუები.

ჩიტები, ჩიტბატონები,
სულ ერთმანეთის ტოლები,
გაიფრენ-გამოიფრენენ
არავის უმა და მონები.

ეკავი ენოსავს ეკავილსაო,
არ აჰირებს ჩხავილსაო,
ეგ თუ ჩხავილს დააჰირებს,
ჩვენ დავიწყებთ ბღავილსაო.

მეტიჩარა გოგოსაო
არ აჯმევენ სოკოსაო,
კარგ გოგოებს ველოდებით,
მათთვის დაგვეზოგოსაო.

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**